ოქმი:**ო02. 3723213001**

თარიღი:**01/08/2023**

ოქმი № 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 31 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდნენ: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, ტ. არუშიძე, ნ. ურუშაძე, დ. ჭაკნელიძე, ვლ. ხავთასი, ალ. ბურჭულაძე, ნ. სარჯველაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სკვერებისა და პარკების ინვენტარიზაციისა და მისი მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

2. ქალაქ ოზურგეთში, ა. ნაკაშიძის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

3. დაბა ურეკში, ე. თაყაიშვილის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტში სკვერებისა და პარკების ინვენტარიზაციის შესახებ ინფორმაცია, ვრცლად საკითხზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, აღინიშნა, რომ ამჟამად რეგისტრირებულია 20 პარკი და 23 სკვერი, აღრიცხვა-რეგისტრაცია კვლავ მინდინარეობს. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტები: „ქალაქ ოზურგეთში, ა. ნაკაშიძის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ“ და“დაბა ურეკში, ე. თაყაიშვილის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ“ -კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტების საკრებულოსა და ბიუროს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში არსებული განკარგულების პროექტები წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სკვერებისა და პარკების ინვენტარიზაციისა და მისი მდგომარეობის შესახებ“-ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი